ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №05

(მომსახურების შესყიდვა)

შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„ 27 თებერვალი 2019 წელი

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„ შემდეგში „შემსყიდველი" დირექტორი ბადრი ასათიანის სახით, მეორეს მხრივ - შ.პ.ს. „რამინა„ დირექტორი დიდიკო ხოშტარიას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:
„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ობიექტის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - გზის ვარგისიანობაზე ტესტირება
2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია – **50100000** - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილებების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - **50113200** **-ავტობუსის ტექნიკური მომსახურება**
(იხ. დანართი №1).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ავტობუსის ტექნიკური მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს -100,00 (ას) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 27 მარტის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.2 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
შ.პ.ს.„ფოთიქალაქტრანსპორტი„

დირექტორი ბადრი ასათიანი

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
სს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE 29LB0115113951829000
ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215131569

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს „[illegible]"

დირექტორი [illegible] ხოშტარია

ს.ს „თიბისიბანკი„

ა/ა GE06TB7220436020100002
ბ/კ TBCGE22 ს/კ № 415081146

დანართი №1

მომსახურების გაწევის და ფასების გრაფიკი

	მომსახურების დასახელება	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი და ვადა
1	ავტობუსის ტექ. მომსახურება.	100.00	შ.პს. ,,რამინა,,2019 წლის 28 მარტამდე.

,,შემსყიდველი"
შ.პ.ს.,,ფოთიქალაქტრანსპორტი,,

დირექტორი ბადრი ასათიანი

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
სს ,,ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE 29LB0115113951829000
ბ/კ LBRTGE22 ს/კ №215131569

,,მიმწოდებელი"
შ.პ.ს. ,,რამინა,,

დირექტორი ... ...